მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე

სხდომის ოქმი N11

09 ივნისი 2017 წელი

ქ.წალენჯიხა

**სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე თემურ ღვინჯილია**

**საკრებულოს 28 წევრიდან სხდომას ესწრებოდა 19 დეპუტატი:** გონერ კვარაცხელია, ვლადიმერ გაბელია, ასმათ კვარაცხელია, ანზორ ფიფია, ვახტანგ ქუჩულორია, მერაბ კვარაცხელია, დავით ბელქანია, ლევან ფიფია, დარეჯან დადიანი, ნესტან გოგოხია, ნონა კვარაცხელია, ივერ კვარაცხელია, ვლადიმერ კვარაცხელია, ბორის კვარაცხელია , ბაჩუკი უბილავა, მალხაზ ფიფია, დავით ფიფია, ლევან შელია,

**სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ:** წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგებელი ბესიკ ფარცვანია , წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის, მუნიციპალიტეტის გამგეობის სამსახურების წარმომადგენლები.

**სხდომა დაიწყო:** 12:00სთ.
**სხდომა დასრულდა:** 12:40 სთ.

სხდომის თავმჯდომარემ თემურ ღვინჯილიამ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და საკრებულოს წევრებს გააცნო საკრებულოს სხდომის დღის წესრიგი.
საკრებულოს წევრებს წარმოდგენილი საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტის მიმართ შენიშვნა ან დამატება არ დაუფიქსირებიათ.

**დღის წესრიგი:**

1. ,,წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბრის N33 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.
   გამგებლის მიერ მომხსენებლად დანიშნული პირი: კორნელ კვარაცხელია
   მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი

**მოისმინეს: 1 ,,წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბრის N33 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.**

საკითხი წარმოადგინა გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა კორნელ კვარაცხელიამ.
საკრებულოს წევრმა დავით ბელქანიამ აღნიშნა, რომ ვინაიდან ,, ამბულატორიების, პოლიკლინიკების და ჯანდაცვის სხვა პროგრამები '' (კოდი 06 02) და ,, სოციალურად დაუცველ

ოჯახთა ერთჯერადი და პროგრამული დახმარების“ (კოდი 06 03 03) მუხლებში თანხა წლის პირველ ნახევარში თითქმის ათვისებული იქნა , ვინაიდან მწირი თანხაა დარჩენილი წლის ბოლომდე , მიზანშეწონილად მიიჩნია , ერთჯერადი დახმარების გაცემის წესში შეტანილ იქნეს ცვლილება, რომლიც განსაზღვრავს გაცემის ახალ კრიტერიუმებს და ყოველთვიურად გასაცემი თანხების ქვოტას. ამ მიზნით ბიუჯეტის ცვლილებაში ასახული თანხა არ გახარჯულიყო დახმარების გაცემის წესში ცვლილების შეტანამდე.

სხდომის თავმჯდომარემ თემურ ღვინჯილიამ დაავალა გამგეობის შესაბამის სამსახურს მოამზადონ აღნიშნული ცვლილების პროექტი და წარმოუდგინონ საკრებულოს უახლოს სხდომაზე განსახილველად.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს სხვა განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ ბ–ნ თ. ღვინჯილიამ მიზანშეწონილად ჩათვალა საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილ დადგენილების პროექტზე კენჭისყრა.

ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 19 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი) მიღებულიქნა შესაბამისი დადგენილება (N14) .

ამით საკრებულოს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

**სხდომის თავმჯდომარე:** **თ. ღვინჯილია**